

CAUCASUS UNIVERSITY



კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა
CAUCASUS SCHOOL OF TECHNOLOGY

სამაგისტრო პროგრამა

ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტი

პროგრამის დასახელება			
	ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტი		
ხარისხის დონე			
	სამაგისტრო		
საგანმანათლებლო პროგრამის სახეობა			
	აკადემიური		
ენა			
	ინგლისური		
მინიჭებული კვალიფიკაცია, კოდი			
	In English:	Master of Engineering Logistics	0619
	In Georgian:	საინჟინრო ლოგისტიკის მაგისტრი	0619
პროგრამის დამტკიცების თარიღი			
	27 ნოემბერი 2020 წელი (ბრძანება N01/01-70)		
პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელები			
	პროფესორი გიორგი დობორჯგინიძე თანახელმძღვანელი პროფესორი ფრანკ გილერტი		
პროგრამის მოცულობა კრედიტებით			
	<p>პროგრამით განსაზღვრული კვალიფიკაციის მისაღებად გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ 120 ECTS კრედიტის ათვისება.</p> <p>1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისა და კონსულტაციებისთვის განკუთვნილ დროს.</p> <p>პროგრამით განსაზღვრული დატვირთვის კრედიტების საერთო რაოდენობა გადანაწილებულია შემდეგნაირად:</p> <ul style="list-style-type: none"> - სავალდებულო სასწავლო კურსები - 102 კრედიტი (მათ შორის სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი) - არჩევითი სასწავლო კურსები - 18 კრედიტი 		
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა			
	<ul style="list-style-type: none"> • ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი • საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება. • საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით. • ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სპეციალობასთან რელევანტური მისაღები გამოცდის წარმატებით გავლა (მოიცავს ინგლისურის გააზრებისა და წერის კომპონენტებს B2 დონის შესაბამისად და ზოგად ლოგიკურ და რაოდენობრივი მსჯელობის კითხვებს; ინდივიდი შეიძლება განთავისუფლდეს მოცემული პირობისაგან, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (IELTS-6.0, TOEFL-78, B2 დონის სხვა რელევანტური საერთაშორისო სერტიფიკატი ან უნივერსიტეტის რეგულაციით დადგენილი სხვა გარემოება)) • კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის სამაგისტრო მიმღებ კომისიასთან სპეციალობაში გასაუბრების წარმატებით გავლა. • პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით. 		
ზოგადი ინფორმაცია			

მრავალ-დარგობრივი სამაგისტრო პროგრამა „ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტში“ სერთიფიცირებულია, როგორც საინჟინრო ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამა. პროგრამის შინაარსი ორიენტირებულია მრავალფეროვან მოთხოვნებზე: ეკონომიკის გაციფრულება, ლიდერობა, კომპეტენციები პროექტის მენეჯმენტში, ტექნიკური და გარემოსდაცვითი საკითხების მდგრადი განვითარება და ასევე ლოგისტიკისა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის სტრატეგიების გამოყენება. ყველა აუცილებელი უნარ-ჩვევები, როგორც საზოგადოების, ეკონომიკის, მრეწველობის და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოთხოვნები საფუძვლად დაედო ფართო ლოგისტიკური სექტორის კომპეტენციის მოთხოვნებს.

პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება, რომელთაც აქვთ ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამები მსგავსი მიმართულებით; პარტნიორი უნივერსიტეტის (ვილდაუს ტექნიკური გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი) წამყვანი სპეციალისტებისა და პროფესორების რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა ქართველი პროფესორების მიერ გაცვლითი ვიზიტების დროს საქართველოში. პროგრამა გამოირჩევა, როგორც საქართველოს ასევე საერთაშორისო ბაზარზე ლოგისტიკის ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის ამჟამინდელი და მზარდი მოთხოვნების გათვალისწინებით, რიგი საკითხების სიღრმისეული შესწავლით.

პროგრამის სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ტექნიკურ მიმართულებას, რომელიც კარგად აცნობიერებს ბიზნეს ოპერაციებსა და სტრატეგიებს. სტუდენტები შეისწავლიან, თუ როგორ უნდა შეესაბამებოდეს ინფორმაციული ტექნოლოგიები და ორგანიზაციის სტრატეგიები ერთმანეთს. პროგრამის სწავლების პროცესი ემყარება პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებს, სამეცნიერო კვლევის ელემენტების გათვალისწინებით. იგი ფოკუსირებულია უახლესი სამეცნიერო და პრაქტიკული ინფორმაციის მართვის ტექნოლოგიებით. ოცდამეცხრეული დისციპლინების სიღრმისეულ სწავლაზე. თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადი პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ღრმა თეორიული ცოდნა და დაეუფლოს საჭირო პრაქტიკულ უნარებს. პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების კარგად შერჩეული ნაზავი საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულს გააგრძელოს პერსპექტიული სპეციალისტის კარიერა ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტში, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. პროგრამა დაყოფილია ეტაპებად "ინჟინერია", "ზოგადი მენეჯმენტი" და "IT და მენეჯმენტი", რომელთაც განსაკუთრებული როლი უკავიათ ლოგისტიკის გაციფრვებაში.

სასწავლო პროგრამა ხორციელდება ინგლისურ ენაზე, რაც აფართოებს პროგრამის აუდიტორიას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

სასწავლო პროგრამა ფოკუსირებულია უკვე ნაცად და პროფესიულად დადასტურებულ ახალგაზრდა მენეჯერების გამოცდილებაზე ლოგისტიკის სფეროში. სამხრეთ კავკასიის რეგიონში, კარგად ცნობილი აბრეშუმის გზის კორდონში, ლოგისტიკური სექტორის მდგრადი განვითარება ვითარდება დინამიურია. აღსანიშნავია საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპეტენციებისა და უნარების საჭიროება ლოგისტიკის სექტორში, IT ინსტრუმენტების შემდგომი ინტეგრაციისათვის.

პროგრამის მიზნები

- ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის პროგრამის მიზნებია:
- შესთავაზოს სტუდენტს შესაძლებლობა განავითაროს კვლევითი უნარები ლოგისტიკის ინჟინერიასა და მენეჯმენტში, ინფორმაციული ტექნოლოგიების, აგრეთვე ბიზნესის მართვის მეთოდოლოგიების ღრმა ცოდნა და ამით უზრუნველყოს მისი კარიერული ზრდა წამყვან პოზიციებზე მათი კვალიფიკაციის შესაბამისად;
 - მოამზადოს ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის თანამედროვე სპეციალისტი, ლოგისტიკური ინფორმაციული ტექნოლოგიების ღრმა ცოდნით და ბიზნეს-გარემოს და სტრატეგიის კარგი ანალიზის უნარებით, მენეჯმენტის ინოვაციური მეთოდების კომპეტენციითა და ანალიტიკური პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობებით.

სწავლის შედეგები

ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდგომ სტუდენტი შეძლებს შეიძინოს შემდეგი კომპეტენციები:

- ანალიზებს და იყენებს ლოგისტიკის თანამედროვე საინფორმაციო სისტემებს, მენეჯმენტის მეთოდებს და საერთაშორისო სტანდარტებს;
- ეფექტურად გეგმავს ლოგისტიკის ტექნოლოგიების სტრუქტურას ორგანიზაციებში და ავითარებს საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისის მიწოდების სტრატეგიებს;
- იყენებს მეთოდებს და შეფასების სისტემებს, რათა შეაფასოს ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები, სტრატეგიული რისკები. დამოუკიდებლად გეგმავს და მართავს რისკიან და დინამურად ცვალებად პროცესებს;
- იყენებს ლოგისტიკის სისტემების დაგეგმვის და ლოგისტიკური პროცესების მოდელირების თანამედროვე ინსტრუმენტებს და აპლიკაციებს;
- პრაქტიკაში იყენებს ორგანიზაციაში ბიზნესის თანამედროვე ტექნოლოგიებს, აფასებს კომპლექსურ პრობლემებს, ანალიზებს შედეგებს და იღებს ინოვაციური გადაწყვეტილებას;
- ახორციელებს მეცნიერულ-თეორიულ და პრაქტიკულ კვლევებს ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტში, იყენებს მეცნიერული კვლევების თანამედროვე ტექნოლოგიებს;
- აფასებს და თვლის ლოგისტიკური სისტემების გარემოზე ზემოქმედების შედეგებს.

დასაქმების სფეროები

პროგრამა აძლევს სტუდენტებს შანსს დასაქმდნენ ლოგისტიკის და მიწოდების ჯაჭვის მიმართულებით წამყვან პოზიციებზე. კარიერული წინსვლის მნიშვნელოვანი საფუძველი არის პროგრამიდან მიღებული საფუძვლიანი ტექნიკური და მენეჯერული უნარჩვევები, რომლებიც მნიშვნელოვანია ლოგისტიკისა და მიწოდების ჯაჭვის სექტორში კარიერული წინსვლისთვის.

პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ შესაძლებლობა დასაქმდნენ სხვადასხვა სფეროებში: აკადემიური და სამეცნიერო სექტორი, მრეწველობა, სახელმწიფო სექტორი, კერძო და ბიზნეს ორგანიზაციები. პროგრამის კურსდამთავრებულის სამუშაო პოზიციების დასახელებები მოიცავს: ტრანსპორტისა და ლოგისტიკის მენეჯერს, უფროსი მიწოდების ჯაჭვის ოფიცერი, უფროსი საოპერაციო ოფიცერი, ლოგისტიკის საოპერაციო მენეჯერი, საწყობის მენეჯერი, მიწოდების ჯაჭვის განვითარების მენეჯერი, პროექტის მენეჯერი და.შ. საქართველოს დასაქმების ბაზარზე ძირითადი დამსაქმებლები არიან: უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები, დიდი და მცირე ზომის ბიზნეს კომპანიები, სატრანსპორტო და ლოგისტიკური კომპანიები, სამრეწველო კომპანიები, სავაჭრო კომპანიები, საერთაშორისო და სამთავრობო ორგანიზაციები.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს მონათესავე სადოქტორო პროგრამებზე საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, გარდა იმ სადოქტორო პროგრამებისა, რომელთა აუცილებელი მოთხოვნაა მაგისტრის დიპლომის ფლობა იგივე სპეციალობაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩააბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლება-სწავლის პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს და უზრუნველყოფენ შედეგის მიღწევას, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით გამოიყენება შემდეგი სახის მეთოდები:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი;
- პრაქტიკული მეთოდები;
- დისკუსია/დებატები;
- ჯგუფური (collaborative) მუშაობა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;
- ელექტრონული სწავლება (E-learning);
- შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი;
- სწავლების დედუქციური მეთოდი;
- ანალიზის მეთოდი;
- სინთეზის მეთოდი და სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ანაცვლებენ. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები

პროგრამას ემსახურება კავკასიის უნივერსიტეტის თორმეტი მოწვეული პერსონალი (ქართველი და უცხოელი), რომლებიც საკუთარი კვალიფიკაციის შესაბამისად, უშუალო მონაწილეობას იღებენ სტუდენტებში პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების განვითარებაში.

პროგრამის სხვა რესურსები

პროგრამის განხორციელებაში საუნივერსიტეტო შიდა რესურსის გარდა, მონაწილეობენ უნივერსიტეტის პარტნიორი სასწავლო დაწესებულებები, საჯარო ორგანიზაციები და კერძო კომპანიები.

კავკასიის უნივერსიტეტის და კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის მემორანდუმების ფარგლებში პარტნიორი საჯარო და კერძო ორგანიზაციებია:

- შპს დასაქმების სააგენტო ეიჩარი;
- დიპლომატ ჯორჯია

- ჰაიდელბერგ ცემენტი
- საქართველოს რკინიგზა
- Maersk Group
- Mediterranean Shipping Company (MSC)
- APM Porti (ფოთის პორტი)
- ბათუმის საზღვაო ნავსადგური
- სს ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი;
- თავდაცვის სამინისტრო;
- საქართველოს ეროვნული ბანკი;
- საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო;
- EY;
- შპს იმობილიარე;
- სილქნეტი;
- UGT;
- Orient Logic;
- იუსტიციის სამინისტრო;
- ფინანსთა სამინისტრო;
- თბილისის მერია.

კავკასიის უნივერსიტეტი ასევე თანამშრომლობს და მემორანდუმები აქვს გაფორმებული შემდეგ უნივერსიტეტებთან:

- Technical University of Applied Sciences Wildau
- Tallinn University of Technology;
- Riga Technical University;
- Upper Austria University of Applied Sciences (Hagenberg);
- University of Southern Denmark;
- Fairleigh Dickinson University;
- Kaunas University Of Technology;
- Ming Chuan University of Taiwan;
- Universidad Autonoma de Gvadalajara, Mexico;
- IESB, Brasilia Higher Education Institute, Brazil.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საკუთრებაში მყოფი მატერიალური და ტექნიკური რესურსი. კერძოდ, სტუდენტების და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი, სათანადოდ აღჭურვილი ელექტრონიკის და კომპიუტერული ქსელების ლაბორატორია. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა (მულტიმედია პროექტორი, კომპიუტერი, აუდიო-ვიდეო ტექნიკა და სხვა) და სასწავლო ინვენტარით (თეთრი დაფა, მერხი, სკამი).

უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული წიგნადი და ელექტრონული ფონდი ასევე უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგის მიღწევას.

ბიბლიოთეკა - ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის (სულ 20 605 ერთეული ბეჭდური და 10877 ერთეული ელექტრონული რესურსი). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური 1 ასლგადამღები აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის 2 თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით:

- [EBSCO HOST](#)
- [ScienceDirect](#)
- [Scopus](#)
- [Sci-val Funding\(Funding Institutional\)](#)
- [HeinOnline](#)
- [Taylor and Francis](#)
- [Math Scientific Publishing \(MSP\)-Journals](#)

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ლაბორატორია და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც პასუხობს თანამედროვე

მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. კომპიუტერები უზრუნველყოფილია შესაბამის პროგრამული ინსტრუმენტებით/აპლიკაციებით. აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით.

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

კავკასიის უნივერსიტეტი სადღეისოდ აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული საშუალებებით, ასევე ადამიანთა აპარატურით (რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის განახლება მოხდა 2018 წელს). ამჟამად უნივერსიტეტში A, B და C სართულებზე გაშვებულია შვიდი კომპიუტერული კლასი. ასეთი კლასები პერსონალური კომპიუტერით და მულტიმედია პროექტორებით არის დაკომპლექტებული. ასეთი პროექტორებით და კომპიუტერებით აღჭურვილია ყველა აუდიტორია და ბიბლიოთეკა. ადმინისტრაცია და პრაქტიკულად ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერებით და ინტერნეტთან წვდომით. უნივერსიტეტის საკომპიუტერო პარკი 380 ერთეულზე მეტს შეადგენს. ამას ემატება ორგანიზაცია პრინტერების და სკანერების სახით. რამდენიმე ე.წ. „Smart board“, სწრაფქმედი (მაღალი წარმადობის) „კიოსერას“ ფირმის ასევე ადამიანთა აპარატები, აგრეთვე ფერადი ასევე ადამიანთა აპარატები და დანადგარი „HP MFD“ - ტიპის. უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია WiFi, ასევე უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირი IP ტელეფონებით (რისთვისაც შეძენილია 130-ზე მეტი შესაბამისი ტელეფონი). უნივერსიტეტის სასერვეროში მოქმედებს ხუთი ერთეული თანამედროვე სერვერი, ხოლო მის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია შესაბამისი ქსელური აპარატურა („Cisco“-ს და „Aruba/HP“-ის სვიჩებით, Fortinet-ის NG Firewall-ით, wireless controller და access point-ებით, და ა.შ.), სულ 100-ზე მეტი ამგვარი მოწყობილობით. უნივერსიტეტი ჩართულია გარე ქსელში და აქვს ინტერნეტთან წვდომა 150/150 Mbps ლოკალისა და გლობალ კავშირებზე.

აღნიშნული რესურსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სტუდენტებისგან მისაღებ შემოსავალს და სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯს. ფინანსური გათვლები ეყრდნობა პროგრამის მიხედვით აღებულ შემდეგ მონაცემებს:

- სწავლებისთვის საჭირო საკონტაქტო საათებს,
- სასწავლო კურსების რაოდენობას (ჩაშლილად სავალდებულო, არჩევითი),
- სალექციო საათების ანაზღაურებას,
- პროგრამით გათვალისწინებული სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელის/რეგენზენტის ანაზღაურებას,
- სწავლების პროცესში სტუდენტის მატერიალურ მხარდაჭერას,
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხარჯს,
- პროგრამის განვითარება/აკრედიტაცია/ინტერნაციონალიზაციის ხარჯს,
- პროგრამის მანძილზე დასაშვებ გაუთვალისწინებელ ხარჯს.

ასევე, პროგრამის ბიუჯეტში თანხობრივად გათვალისწინებულია „უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდი“, რომელიც მცირე ჯგუფის შემთხვევაში მოემსახურება პროგრამის ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯის დაფარვას. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში ხორციელდება ცვლილების შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტის კორექტირება. პროგრამის ბიუჯეტი მტკიცდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ, რაც დასტურდება ბრძანების სახით, რომელსაც დანართად ერთვის პროგრამის ბიუჯეტის კალკულაცია.

პროგრამის სასწავლო გეგმა

სასწავლო პროგრამა დაყოფილია საფეხურებად "ენერგეტიკა", "ზოგადი მენეჯმენტი" და "ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT) და მენეჯმენტი", რომლებიც ითვალისწინებენ ლოგისტიკისა და ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებებს. პროგრამა მოიცავს:

- მოდულებს ძირითადი კომპეტენციებით, რომლებიც მოიცავენ მოწინავე მიდგომების და მეცნიერულ დონეზე გაანგარიშებისა და შეფასების ინსტრუმენტებისა და სტრატეგიების გამოყენებას.
- მოდულებს, რომლებიც მოიცავენ რაოდენობრივ და თვისობრივ ანალიზს კომპეტენციებით, ტაქტიკური და სტრატეგიული გადაწყვეტილების მისაღებად.
- ტექნიკური შესწავლის და შეფასების მოდულებს, ლოგისტიკური დამატებითი ღირებულების ჯაჭვის გასწვრივ.

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი	წელი				
				I		II		ECTS
				ECTS				
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	
სავალდებულო სასწავლო კურსები								
1.	LOG 5141		ლოგისტიკის გადაწყვეტილებების მხარდამჭერი სისტემები	x				6
2.	LOG 5142		ფინანსური მენეჯმენტი	x				6
3.	LOG 5143		ინტერმოდალური ტრანსპორტის და ტერმინალების მენეჯმენტი	x				6
4.	LOG 5144		მიწინავე ენერგოტექნოლოგიები ლოგისტიკაში	x				6
5.	LOG 5241	LOG 5143	გლობალური ლოგისტიკა IT სისტემების გამოყენებით		x			6
6.	LOG 5242	LOG 5141	ტრანსპორტის დაგეგმვის სისტემები		x			6
7.	LOG 5243	LOG 5143	საგზაო, სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტი		x			6
8.	LOG 5341	LOG 5241	მოწინავე ლოგისტიკური ქსელების ოპერირება			x		6
9.	LOG 5342		ბიზნეს ანალიტიკა და ციფრული ტრანსფორმაცია			x		6
10.	LOG 5343	LOG 5144	ლოგისტიკის ხარისხის და გარემოსდაცვითი მენეჯმენტი			x		6
11.	LOG 5344	LOG 5241	ციფრული საწყობის მენეჯმენტი			x		6
12.	LOG 5345		ციფრული რისკის და ცვლილებების მენეჯმენტი			x		6
13.	MST 5441		სამაგისტრო ნაშრომი				x	30

არჩევითი სასწავლო კურსები											
14.	LID 5140		ლიდერობა	x					6		
15.	MNG 5140		სტრატეგიული მენეჯმენტი	x					6		
16.	ISM 5244		ორგანიზაციული რესურსების დაგეგმვის (ERP) სისტემები		x				6		
17.	LOG 5244	LOG 5144	ტრანსპორტის და გარემოზე ზემოქმედების შეფასება		x				6		
18.	MNG 5340		გადაწყვეტილების მიღების თეორია		x				6		
19.	ISM 5344		პროექტის მართვა		x				6		
ECTS კრედიტები				სემესტრში				30	30	30	30
				წელიწადში				60		60	

პროგრამის საათობრივი გაანგარიშება

№	სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი/სთ	ლექცია	სემინარი / პრაქტიკული	გამოცდა	პრეზენტაციის მომზადება და წარდგენა	დამოუკიდებელი მუშაობა, მ.შ. გამოცდებისათვის
1	LOG 5141	ლოგისტიკის გადაწყვეტილებების მხარდამჭერი სისტემები	6/150	30	30	4		86
2	LOG 5142	ფინანსური მენეჯმენტი	6/150	30	30	4		86
3	LOG 5143	ინტერმოდალური ტრანსპორტის და ტერმინალების მენეჯმენტი	6/150	30	30	4		86
4	LOG 5144	მიწინავე ენერგოტექნოლოგიები ლოგისტიკაში	6/150	30	30	4		86
5	LOG 5241	გლობალური ლოგისტიკა IT სისტემების გამოყენებით	6/150	30	30	4		86
6	LOG 5242	ტრანსპორტის დაგეგმვის სისტემები	6/150	25	35	4		86
7	LOG 5243	საგზაო, სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტი	6/150	30	30	4		86
8	LOG 5341	მიწინავე ლოგისტიკური ქსელების ოპერირება	6/150	30	30	4		86
9	LOG 5342	ბიზნეს ანალიტიკა და ციფრული ტრანსფორმაცია	6/150	30	30	4		86
10	LOG 5343	ლოგისტიკის ხარისხის და გარემოსდაცვითი მენეჯმენტი	6/150	30	30	4		86
11	LOG 5344	ციფრული საწყობის მენეჯმენტი	6/150	30	30	4		86
12	LOG 5345	ციფრული რისკის და ცვლილებების მენეჯმენტი	6/150	30	30	4		86
13	MST 5441	სამაგისტრო ნაშრომი	30/750	20				730
14	LID 5140	ლიდერობა	6/150	18	6	4	2	120
15	MNG 5140	სტრატეგიული მენეჯმენტი	6/150	18	6	4	2	120
16	ISM 5244	ორგანიზაციული რესურსების დაგეგმვის (ERP) სისტემები	6/150	19	5	4	2	120
17	LOG 5244	ტრანსპორტის და გარემოზე ზემოქმედების შეფასება	6/150	30	30	4		86
18	MNG 5340	გადაწყვეტილების მიღების თეორია	6/150	21	5	4		120
19	ISM 5344	პროექტის მართვა	6/150	22	2	4	2	120

სწავლის შედეგების რუკა

№	სემესტრი	სასწავლო კურსის დასახელება	სწავლის შედეგები						
			ანალიზებს და იყენებს ლოგისტიკის თანამედროვე საინფორმაციო სისტემებს, მენეჯმენტის მეთოდებს და საერთაშორისო სტანდარტებს	ეფექტურად გეგმავს ლოგისტიკის ტექნოლოგიების სტრუქტურას ორგანიზაციებში და ავითარებს საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისის მიწოდების სტრატეგიებს.	იყენებს მეთოდებს და შეფასების სისტემებს, რათა შეაფასოს ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები, სტრატეგიული რისკები. დამოუკიდებლად გეგმავს და მართავს რისკიან და დინამიურად ცვალებად პროცესებს	იყენებს ლოგისტიკის სისტემების დაგეგმვის და ლოგისტიკური პროცესების მოდელირების თანამედროვე ინსტრუმენტებს და აპლიკაციებს	პრაქტიკაში იყენებს ორგანიზაციაში ბიზნესის თანამედროვე ტექნოლოგიებს, აფასებს კომპლექსურ პრობლემებს, აანალიზებს შედეგებს და იღებს ინოვაციური გადაწყვეტილებას.	ახორციელებს მენეჯერულ-თეორიულ და პრაქტიკულ კვლევებს ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტში, იყენებს მენეჯერული კვლევების თანამედროვე ტექნოლოგიებს.	აფასებს და თვლის ლოგისტიკური სისტემების გარემოზე ზემოქმედების შედეგებს.
1.	I	ლოგისტიკის გადაწყვეტილებების მხარდამჭერი სისტემები			X		X	X	
2.	I	ფინანსური მენეჯმენტი		X					
3.	I	ინტერმოდალური ტრანსპორტის და ტერმინალების მენეჯმენტი			X	X			
4.	I	მიწინავე ენერგოტექნოლოგიები ლოგისტიკაში	X	X	X	X			
5.	II	გლობალური ლოგისტიკა IT სისტემების გამოყენებით	X	X					
6.	II	ტრანსპორტის დაგეგმვის სისტემები				X	X	X	X
7.	II	საგზაო, სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტი	X				X		
8.	III	მოწინავე ლოგისტიკური ქსელების ოპერირება	X	X			X		

9.	III	ბიზნეს ანალიტიკა და ციფრული ტრანსფორმაცია	x					x	
10.	III	ლოგისტიკის ხარისხი და გარემოსდაცვითი მენეჯმენტი	x			x			x
11.	III	ციფრული საწყობის მენეჯმენტი	x		x		x		
12.	III	ციფრული რისკის და ცვლილებების მენეჯმენტი	x		x				
13.	IV	სამაგისტრო ნაშრომი	x	x	x	x	x	x	

მიზნების და სწავლის შედეგების რუკა

<p>პროგრამის მიზნები</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგები</p>	<p>მისცეს სტუდენტებს შესაძლებლობა განავითარონ კვლევის უნარები ლოგისტიკური ინჟინერიისა და მენეჯმენტის სფეროში, ინფორმაციული ტექნოლოგიის, აგრეთვე ბიზნესის მართვის მეთოდოლოგიის ღრმა ცოდნა და ამით უზრუნველყონ მათი დასაქმება წამყვან პოზიციებზე კვალიფიკაციის შესაბამისად;</p>	<p>მოამზადოს ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის თანამედროვე სპეციალისტი, ლოგისტიკური ინფორმაციული ტექნოლოგიების ღრმა ცოდნით და ბიზნეს გარემოს და სტრატეგიის კარგი ანალიზით, მენეჯმენტის ინოვაციური მეთოდების კომპეტენციითა და ანალიტიკური პრობლემების გადაჭრის უნარებით.</p>
<p>აანალიზებს და იყენებს ლოგისტიკის თანამედროვე საინფორმაციო სისტემებს, მენეჯმენტის მეთოდებს და საერთაშორისო სტანდარტებს</p>	<p>X</p>	<p>X</p>
<p>ეფექტურად გეგმავს ლოგისტიკის ტექნოლოგიების სტრუქტურას ორგანიზაციებში და ავითარებს საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისის მიწოდების სტრატეგიებს.</p>		<p>X</p>
<p>იყენებს მეთოდებს და შეფასების სისტემებს, რათა შეაფასოს ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები, სტრატეგიული რისკები. დამოუკიდებლად გეგმავს და მართავს რისკიან და დინამიურად ცვალებად პროცესებს</p>	<p>X</p>	<p>X</p>
<p>იყენებს ლოგისტიკის სისტემების დაგეგმვის და ლოგისტიკური პროცესების მოდელირების თანამედროვე ინსტრუმენტებს და აპლიკაციებს</p>		<p>X</p>
<p>პრაქტიკაში იყენებს ორგანიზაციაში ბიზნესის თანამედროვე ტექნოლოგიებს, აფასებს კომპლექსურ პრობლემებს, აანალიზებს შედეგებს და იღებს ინოვაციური გადაწყვეტილებას.</p>		<p>X</p>
<p>ახორციელებს მეცნიერულ-თეორიულ და პრაქტიკულ კვლევებს ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტში, იყენებს მეცნიერული კვლევების თანამედროვე ტექნოლოგიებს.</p>	<p>X</p>	
<p>აფასებს და თვლის ლოგისტიკური სისტემების გარემოზე ზემოქმედების შედეგებს.</p>	<p>X</p>	

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი

#	Personnel Name	Status	Course
1.	ჰერბერტ ზონტაგი	დოქტორი	ლოგისტიკის გადაწყვეტილებების მხარდამჭერი სისტემები
			ინტერმოდალური ტრანსპორტის და ტერმინალების მენეჯმენტი
2.	გიორგი ბურდული	მაგისტრი	ლიდერობა
3.	რუსუდან ჩაჩანიძე	მაგისტრი	სტრატეგიული მენეჯმენტი
4.	მიხეილ მიულერი	მაგისტრი	ფინანსური მენეჯმენტი
5.	მიხეილ ჰერცოგი	დოქტორი	მიწინავე ენერგოტექნოლოგიები ლოგისტიკაში
6.	ინგა ნადარაია	მაგისტრი	ERP სისტემები და აპლიკაციები
7.	ნინო გორგაძე	მაგისტრი	პროექტების მართვა
8.	გივი კუპატაძე	დოქტორი	გადაწყვეტილების მიღების თეორია
9.	გიორგი დობორჯგინიძე	დოქტორი	გლობალური ლოგისტიკა IT სისტემების გამოყენებით
10.	თემურ უგულავა	მაგისტრი	ტრანსპორტის დაგეგმვის სისტემები
			ტრანსპორტის და გარემოზე ზემოქმედების შეფასება
11.	ფრანკ ვილერტი	დოქტორი	მოწინავე ლოგისტიკური ქსელების ოპერირება
			ბიზნეს ანალიტიკა და ციფრული ტრანსფორმაცია
12.	ვერნერ ზონი	დოქტორი	ლოგისტიკის ხარისხი და გარემოსდაცვითი მენეჯმენტი
			ციფრული საწყობის მენეჯმენტი
			საგზაო, სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტი
			ციფრული რისკის და ცვლილებების მენეჯმენტი